დადგენილება:**დ-37. 3724365001**
თარიღი:**30/12/2024**

დადგენილება N20

2024 წლის 27 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2023, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016504), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **2 532 000 ლარით:**

1. **გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები 510 000 ლარით;**

კერძოდ:

ქონების გადასახადი **(ორგანიზაციული კოდი 113) – 510 000 ლარით;**

2. **გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში სხვა შემოსავლები 422 000 ლარით;**

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (ორგანიზაციული კოდი 1415) – **308 000** ლარით;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები**(ორგანიზაციული კოდი 1411)** - **114 000 ლარით;**

3. 2024 წლის 10 დეკემბრის #1785 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2023

წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2400 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1 600 000** (ერთიმილიონ ექვსასი ათასი) ლარი ;

შესაბამისად გაიზარდოს:

1. 2024 წლის 10 დეკემბრის #1785 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 61.1.1.11.) – 1 600 000 ლარით;**

2. საკუთარი შემოსავლებიდან, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა **(ორგანიზაციული კოდი - 02 04 02 – 61.1.1.1.) – 250 000 ლარით;**

3. საკუთარი შემოსავლებიდან, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია **(ორგანიზაციული კოდი - 02 07 03 – 2.5.) – 10 000 ლარით;**

4. საკუთარი შემოსავლებიდან, ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები (**ორგანიზაციული კოდი - 03 01 01 – 2.5.) – 110 000 ლარით;**

5. საკუთარი შემოსავლებიდან, სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა (**ორგანიზაციული კოდი - 03 02 01 – 2.5.) – 120 000 ლარით;**

6. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 20 000 ლარით;**

7. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტული კლუბების ხელშეწყობა, რაგბის განვითარების კავშირი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 03 – 2.5.) – 208 000 ლარით;**

8. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა, საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01 – 2.2.) – 214 000 ლარით;**

შემცირდეს :

9. ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა, საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 03 02 – 2.2.) – 32 500 ლარით;**

10. კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 02 – 2.2.) – 40 000 ლარით;**

11. ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 04 – 2.7.) – 27 500 ლარით;**

შესაბამისად გაიზარდოს:

12. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სუბსიდია

(ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 13 000 ლარით;

13. კულტურის ობიექტების დაფინანსება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დაბა ურეკის კულტურის სახლი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 4 000 ლარით;**

14. კულტურის ობიექტების დაფინანსება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 4 000 ლარით;**

15. კულტურის ობიექტების დაფინანსება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჯუმბერ დუნდუას სახ. ქართული-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი ,,გურია“, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 11 500 ლარით;**

16. კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა, საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01 – 2.2.) – 40 000 ლარით;**

17. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 06 – 2.7.) – 25 000 ლარით;**

18. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 05 – 2.7.) – 2 500 ლარით;**

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი